<u>წ ე რ ი ლ ე ბ ი</u>

ხმა პროვინციიდამ

როგორც «მწყემსის» მკითხველებსაც მოეხსენებათ, ამ რამდენიმე თვის წინად გორის მაზრის სოფ. არბოში აკურთხეს ახალი, დიდი ეკკლესია წმიდის, დიდი მთავარ-მოწამის გიორგის სახელობაზე, სადაც ამ ჟამად სრულდება წირვა-ლოცვა. არც ძველი პატარა ეკკლესია არის დავიწყებული: აქაც ხშირად სრულდება ხოლმე ქრისტიანული სამღვთო მსახურება. მართალია, ძველი ვერცხლის ხატები და ჯვრები აქედამ ახალ ტაძარში გადაასვენეს, მაგრამ კანკელი და სხვა წვრილი ხატები და მთლად შენობა ამ ეკკლესიისა, როგორათაც შიგნით, ისე გარედამ შესაფერის სისუფთავითა და გაფთხილებით არიან დაცულნი. ცხადად სჩანს, რომ აქაურს მღვდელს, მამა გიორგი გვიმრაძეს კარგათ აქვს შეგნებული ისტორიული ნაშთების მნიშვნელობა.

ეს ძველი ტაძარი, ჭეშმარიტად, ღირსიც არის ამგვარი მოპყრობისა. ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში სწერს: «სოფელს არბოში არის ეკკლესია წმიდის დიდი მთავარ-მოწამის გიორგისა, უგუმბათო.» სჩანს, სახელოვან ბატონიშვილზედ ადრე ყოფილა აშენებული ეს ეკკლესია. იქვე არის ძველი ეკკლესია, გარდმოცემის თქმულებით, იგი არის აშენებული დიდებულის თამარ მეფისაგან, რომელსაც ნდომებია თაყვანის-ცემა და დაცვა წმიდა მოწამის აბოს საფლავისა. რადგან ზოგიერთების აზრით, წმიდა მოწამის აბოს საფლავი აქ არის და თვით სოფელსაც თავისი აწინდელი სახელი ამ წმინდანისაგან დარქმევია, ამიტომ საჭიროდ ვრაცხამ მისი ცხოვრების მოკლედ მოთხრობასა.

*

მერვე საუკუნის ნახევარში ქართლის ერისთავად და მმართველად იყო ნერსე, შვილი ადარნასე კუროპალატისა. ამ დროს მთელს მცირე აზიაში არაბების ბატონობა იყო დამყარებული და თვით საქართველოც მათ სამფლობელოს ნაწილს შეადგენდა. მტრებმა დააბეზღეს ნერსე ხალიფთან, რომელმაც დაიბარა იგი და ჩააგდო საპატიმროში, სადაც სამი წელიწადი იმყოფებოდა, შემდეგ სცნეს სიმართლე მისი, დაუბრუნეს წართმეული უფლებანი და პატივცემული გამოისტუმრეს საქართველოში. ამ დროს თან წამოჰყვა მას ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალგაზრდა კაცი, შთამომავლობით არაბი, ხოლო სარწმუნოებით, მაჰმადიანი. ეს იყო აბო. საქართველოში მოსვლის შემდეგ აბო მუდამ ქრისტიან ქართველობაში ტრიალებდა, რამაც მალე მოახდინა თავისი განვლენა ახალგაზრდა სტუმრის უმანკო ბუნებაზე. ისწავლა ქართული ენა, წერა-კითხვა და იწყო სიარული ეკკლესიებში, სადაც მას ესმოდა მაცხოვრის დიდებული მცნებანი. მან მიჰყო ხელი ახლა საღმრთო წერილის შესწავლას, რამაც ცხადად დაანახვა განუზომელი უაღრესობა ქრისტეს სარწმუნოებისა წინაშე მაჰმადის სჯულისა. დაინახა ეს და გადასწყვიტა უარყოფა უკანასკნელისა და მიღება პირველისა. მოინათლა აბო და ამ ჟამიდამ იწყო ისეთი წმიდა ცხოვრება, ისეთი ქრისტიანებრივი მოღვაწეობა, რომ ძველი ქრისტიანი ქართველებიც კი დიდის აღტაცებით და გაოცებით შესცქეროდნენ მას. ამგვარად მომზადებული წმიდა აბო ჩამოვიდა ქ. თბილისში, სადაც სცხოვრობდა მოადგილე ხალიფისა და მასთან მრავალი მაჰმადიანი არაბები. აბომ იწყო ქალაქში სიარული და განცხადებით

აღვიარება და ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა. სარკინოზთ იწყინეს ესეთი მოქმედება თავიანთ თანამემამულისა და დაასმინეს ხალიფის მოადგილესთან, რომელმაც ბრძანა შეპყრობა და წამება მისი. აბო შეიპყრეს და 790 წელს, იანვრის 6, წყალ-კურთხევა დღესა, დიდის ტანჯვითა და წამებით მოჰკლეს თბილისში, მეტეხის კლდის ძირას, სადაც სახსოვრად ამ ამბისა აქამომდეც წმიდათ არი დაცული ნიშანი პატიოსანისა და ძლევა-შემოსილის მოწამისა. გვამი მისი დასწვეს და დანახშირებული ძვლები ჩაჰყარეს მტკვარში. მაგრამ, ქრისტეს მოყვარე მოწამის თაყვანის-მცემელთ მტკვრიდამ ღამე ჩუმად ამოიღეს ეს ძვლები, ჩაასვენეს კუბოში, წამოიღეს შიგნით ქართლში და დაასაფლავეს იმ ადგილას, სადაც შემდეგ გაშენდა სოფელი, რომელსაც დაერქვა სახელად აბო, არბო. შემდეგ მეთორმეტე საუკუნის გასულს, ანბობს გარდმოცემა, წმიდა მოწამის საფლავზე თამარ მეფემ აღაშენა აწინდელი პატარა ეკკლესია დიდი მთავარ-მოწამის გიორგის სახელობაზე.

*

არის მართლა სოფ. არბოში საფლავი წმიდა მოწამის აბოსი? ანუ ვისგან არის აშენებული მოხსენებული ეკკლესია? _ ამ კითხვებზე ისტორიულად დასაბუთებული პასუხის მიცემა ძნელია; ის კი ცხადია, რომ ეს სოფელი და მისი ხატი იმავ ძველის დროდგანვე სახელგანთქმული ყოფილა მთელს შიგნითა ქართლში, რომლის მცხოვრებელნი დიდის პატივის ცემით და თაყვანებით ეპყრობოდნენ მას. ამ მხარეში აქამომდე ხშირად გაიგონებს ადამიანი ფიცილსა _ «არბოს მადლმაო». რაღა თქმა უნდა, საგანი ამ ფიცილისა არის წმ. მოწამე აბო და არა სოფელი! ამ მხრივ არც ჩვენი კეთილმსახურნი მეფენი ყოფილან ხალხზე უკან ჩამორჩენილნი. ერთ კარგს მოზრდილ ვერცხლის ბარძიმზე* ლამაზი მხედრული ასოებით არის შემდეგი წარწერა: «ქ. ჩვენ, საქართველოს მეფემ ირაკლი მეორემ, შემოგწირეთ შენ, ჩვენს სასო წმიდა გიორგის არბოსას, ეს ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმ-კამარა ჩვენი სულისა და ხორცის მტერზე გასამარჯვებლად. მისხალი რვე. ქ-ნსა უოვ.» არის აქვე ძველი ხატი წმ. გიორგისა, ვერცხლის ფურცელზე გამოხატული ცხენზე მჯდომარე წმიდა მოწამე და ეს ხატი მიკრულია პატარა ორ-მტკაველიან ფიცარზე. სახე წმ. გიორგისა და მოყვანილობა ცხენისა ვერ არიან ხელოვნურად გაკეთებულნი; ფიცარი დაფუტურეებული და კუთხეებ-შემოცვეთილია. ეს გარემოებანი, ვგონებ, ცხადათ აჩვენებენ ხატის სიძველესა. ბოლოში ამ ხატს აქვს ხუცური ასომთავრულით ვრცელი წარწერა, რომლიდამ ამოვიკითხეთ, სამწუხაროდ, მხოლოდ შემდეგი: «ჩვენ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ლუარსაბ ვახტანგის-ძემან...» დანარჩენი სიტყვებიც სჩანან, მაგრამ ვერცხლის ფურცელი ზოგან ჩაჭყლეტილია, ზოგან გაცვეთილი და ამის გამო ძნელი გამოსარკვევნი არიან. თუ ოდესმე ან მე თვით და ან სხვის შემწეობით მოვახერხე ამოკითხვა ამ წარწერილისა, «მწყემსის» შუამავლობით ვაცნობებ მის შინაარსს მკითხველ საზოგადოებას. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ _ როგორცა სჩანს _ მთელს ამ ძველ ეკკლესიაში ყველაზედ ღირს-შესანიშნავი ეს ხატი უნდა იყვეს, რადგან წმ. ნაწილები მთავარ-მოწამე გიორგისა ძველად ამ ხატში წყობილან. ხატის ზემოთა ნაპირთან, წმ. გიორგის თავის ახლო ვერცხლის ფურცელი ერთი გოჯის სიგრძე-სიგანეზე ამოჭრილია და ცხადათა სჩანს ოთხ-კუთხეთ ჩაღრმავებული ფიცარი, სადაც სვენებულან მოხსენებული ნაწილები. ეხლა სულ მცირე რიცხვი ამ ნაწილებისა ასვენია პატარა ვერცხლის ჯვარში, რომლის სიგრძე არ იქნება სამს გოჯზე მეტი. რათ მომხდარა ეს ასე? ვის წაუღია დანარჩენი

ნაწილები ქართველთა ერის საყვარელის წმინდანისა? ანუ ვისი უკუღმართი მარჯვენა შეხებია ასეთის ჯოჯოხეთურის გაბედულობით სასწაულთ-მოქმედ ხატსა? ამ საკითხავების პასუხი არა ერთხელ გამიგონია ჩემს პატარაობისას მაშინდელ მოხუცებულთაგან და დღესაც არა ერთი ხნიანი და დარბაისელი კაცი ემოწმება მათ თავიანთ სინიდისიან ლაპარაკით. როგორათაც პირველნი, ისე ეს უკანასკნელნი ერთნაირის კრძალვა-შიშით და თითქმის ერთგვარის სიტყვებით გადმოგვცემენ შემდეგსა:

*

იმ დროს, როდესაც საქართველოს სამეფოს ბოლო ეღებოდა და გონება-მიხდილი მეფე საშინელ სენს ცოცხალი მკვდარსავით დაემსგავსებინა, ამ დროს მისი ჭკუა-გონებით მაღალი, მაგრამ პირადის ანგარიშებით დამდაბლებული, დედინაცვალი თავის ხასიათის დაგვარად ატრიალებდა პოლიტიკურ ჭახრაკებს. თვისი გაძლიერებული ოჯახის წევრნი მას ჰყვანდნენ გაფანტულნი საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში და მათის დახმარებით რევდა იგი უბედურ ერსა, რომელიც ამ დროს, დიდი ირაკლის გარდაცვალების შემდეგ, უმწყემსოდ დარჩენილ ცხვრის ფარას წააგავდა. ნაცვლად ერთობისა და მტკიცე თანხმობისა, ესენი ხალხის მოწინავე რაზმს ათას ნაწილებათა ჰგლეჯდენ და მით გულმოსაკლავის თავხედობით პირქვე ამხობდნენ ძველის-ძველ სამეფოს მომავალ ბედ-იღბალსა! ამ დროს სხვა ბატონიშვილებ შორის იულონიც გამოხიზნულ იყო თბილისიდამ და სახლობით სცხოვრობდა პატარა ლიახვის ხეობაში, სოფ. არბოდგან ათიოდე ვერსის სიშორეზე, ბელოთის ციხეში, რომელიცა სდგას შუა ქართლისა და ოსეთის სამზღვარზე. ციხე აშენებულია ზედ ლიახვის მაღალ კლდიან ნაპირას; დასავლეთით გამოსცქერის იქით მიმავალ ვიწრო და დახლაკნილ შარა გზას, რომელზედაც ასიოდ ჩასაფრებულ კაცს ადვილად შეუძლიან დამარცხება და ამოწყვეტა დიდი და ძლიერი ლაშქრისა; ხოლო ჩრდილოეთით ლიახვის მრისხანე ხეობას წარბ-შეკრული გადმოჰბღვერია კავკასის უმთავრესი ქედი, დაყოფილ-დაგლეჯილ უფსკრულიანი ხეობებით და შავათ დაბურული შეუვალი ტყით. ამასთანავე, მთელი ეს ხეობა გამაგრებულია მრავალი ციხეებით და კოშკებით, რომელნიც დღესაც ამაყად გადმოსცქერიან დაფიქრებულ, დაღონებულ მგზავრსა. ვაი იმ ჭკუა-მოკლე სარდალს, რომელიც ამ ადგილებს თავის ჯარს მიაყენებს!!.

თვით ბელოთის ციხე ოთხ-კუთხიან მაღალ გალავანს წააგავს... ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში მოკლედ იხსენიებს ამ ციხეს... არც ერთ მის კედელზე და ქვაზე არავითარი წარწერა არა სჩანს; ამიტომ ვერა გავიგე-რა: ვისგან და რა დროს არის აშენებული ეს ციხე. ხალხი კი, გარდა ბელოთისა, იულონ ბატონიშვილის ციხესაც ეძახის მას. შიგნით ციხეში დღევანდლამდი კარგად არის დაცული ეკკლესია მაცხოვრისა, რომელშიაც ინახება ძველი დროშა აქაური ერისთავებისა. ხატებში უფრო შესანიშნავია ერთი ვერცხლის დიდი ხატი იესო ქრისტესი, რომელსაც ბოლოში გრძელი, ძნელად ამოსაკითხი წარწერა აქვს. ეკკლესიის პირ-და-პირ ციხის კედელზე მიშენებულია ორსართულიანი სახლი. ამის ვიწრო ფანჯრებიდამ ადამიანს ეხატება თვალწინ ერთის მხრივ-ახავერდებული ტყიან-ჭალიანი მთები, სადაც ძველ დროში მრავალ შველსა და ირემს, გარეულ თხებსა და ღორებს თითქმის ყოველ წამს ხედავდა კაცის თვალი, ხოლო მეორეს მხრივ _ იქვე, კედლის ძირიდამ გაისმის განუწყვეტელი ჩქაფა-

ჩქუფი ლურჯად მოკამკამე პატარა ლიახვისა, რომლის სეტყვასავით ცივს ტალღებში აქამომდეც ბუზისავით ირევიან გემრიელი და დახატული კალმახები. ძნელად მოსაგონებელ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს აქა სცხოვრობდა თავის სახლობით დარეჯან დედოფლის უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი იულონ...

*

აი, ამ ციხე-დარბაზში მოხსენებულ ბატონიშვილთან, სხვათა შორის, ხშირი მსვლელობა ჰქონდა ერთ ჭახმაკ მოხუცებულ დეკანოზს, რომელსაც აქ ყველანი პატივისცემით ექცეოდნენ. ეს იყო არბოს წმ. გიორგის ეკკლესიის დეკანოზი მამა ანდრია ჟურული. იგი იყო წინამძღვარი მოხსენებულის ეკკლესიისა და ჰყავდა ორი თანაშემწე მღვდლები: გიორგი გვიმრაძე და ბაღნიაშვილი. მასვე ჰქონდა მეფისაგან ჩაბარებული საეკლესიო ყმისა და მამულის მოვლა-პატრონობა. ანდრია დეკანოზი აგრეთვე ხშირად დადიოდა თურმე ქ. თბილისშიაცა და იყო სასიამოვნო სტუმარი დარეჯან დედოფლისაცა. ეჭვი არ უნდა _ მამა დეკანოზს მოხსენებულ ორ სასახლეთა შორის ახალი პოლიტიკური ანბები მიჰქონდ-მოჰქონდა!

ერთ ამგვარ მოგზაურობის შემდეგ მამა დეკანოზი მეტათ შეწუხებული დაბრუნდა ს. არბოში. ნეტა რა მოხდა? რა დაემართა ამ დამსახურებულ პირსა? იქნება გიორგი მეფემ შეუტყო მას საიდუმლო მოციქულობა და ამის გამო რისხვა-წყრომას მოელოდა მისგან? ან იქნება დარეჯანი და იულონი გასცა და ეშინოდა ამათ მძლავრ კლანჭებში ჩავარდნისა?.. ამაზედ ნამდვილი არა ვიცით-რა. ის ცხადია, რომ დიდი რამ უბედურება უნდა დასცემოდა მას თავზე! ესა სჩანს იმ სამძიმო შედეგისაგან, რომელიც მოჰყვა აღნიშნულ გარემოებას. ანდრია დეკანოზმა გადასწყვიტა სამშობლოს დატოვება და უცხო, შორეულ ქვეყანაში გადახვეწა. გადასწყვიტა, მაგრამ _ ვაი, რა ძნელია სამშობლოს მოშორება! თუ ეს საქმე ახალგაზრდა კაცისთვისაც კი მეტის-მეტათ სამძიმოა, რაოდენ საძნელო უნდა იყვეს ჩადენა მისი მოხუცებულისათვის! როგორ დაუტევოს საუკუნოთ ის ადგილები, სადაც დაბადებულა, აღზდილა, დაბერებულა! ვინ მისცემს საბადლოს იმ დედულ-მამულისას, რომელიც არა ერთხელ დასველებულა მისი ცრემლითა და ოფლითა?! როგორ მოშორდეს ცოლსა, შვილსა, ნაცნობ-ნათესავებსა და ვის მიადგეს უცხო მხარეში თავის დაძაბუნებული მუხლებით, გათეთრებული თმით, მოკლული იმედებით?.. ვინ მისცემს ბანს მის სიმღერას და ვინ ანუგეშებს მას მწუხარებაში?! უბედურ აზრს ერთი ის თვისებაცა აქვს, რომ თუ გაჩნდა სადმე, მარტოკა დიდ ხანს არაოდეს არ დარჩება: უსათუოდ მალე გამოიბამს კუდზე სხვა და სხვა თავის მსგავს აზრსაცა. ასე მოუვიდა არბოელ დეკანოზსაც. «მოდი და წმ. გიორგის ნაწილებს დავიპარამ და თან წავიღებ... ისინი იქნებიან ჩემი მფარველნი, ჩემი მანუგეშებელნი შორეულ უცხოეთში!» გაიფიქრა მოხუცებულმა... გაიფიქრა და მალე აღასრულა კიდეცა. ზემოთ მოხსენებული ნაწილებიანი ხატი ამოსჭრა, ამოიღო იქიდგან წმ. ნაწილები და გასწია რუსეთისაკენ. მიდის ანდრია დაღონებულ-დაფიქრებული; უკანიდამ მისდევენ ათასი ნაღველაზე უმწარესი ფიქრები, ხოლო წინ განუწყვეტლივ და განუშორებლივ მიუძღვის რაღაც უსისხლ-ხორცო, მწარეთ დაღრეჯილი შავი აჩრდილი... ნეტავ რა უნდა იყვეს ესა?.. რატომ ერთ წუთს მაინც არის არ შორდება იგი საცოდავი მგზავრის გზასა და კვალსა?.. ეგ არის, ეგ ანღვრეული, ჩირქმიცხებული სინიდისი უბედური ადამიანისა!!. ვაი მას, ვისაც სინიდისი ერთხელ როდისმე გაშავებია!!.

*

მივიდა ანდრია დეკანოზი მოზდოკში და აქ დაბინავდა. სიღარიბემ და, მომეტებულად, რაღაც მწარე მოუსვენრობამ მალე გახადეს ის იძულებული _ გაეყიდნა თავისი ძვირფასი მანუგეშებელნი. ნაწილები იყიდეს რავდენმამე შემძლებელმა ვაჭარმა რუსებმა. მაგრამ არც ამის შემდეგ იგრძნო გარდახვეწილმა მყუდროება სულისა და სიმშვიდე სინიდისისა. ერთ დღეს ის დაღონებული მიდიოდა შუა ქუჩაში; აქ უცებ რაღაცამ დაჰკრა თავში და უგრძნობლად დასცა იგი მიწაზე. იმავე წამს, ჯერ ისევ ცოცხალ-მკვდარი ადამიანი, «ყავარივით გასკდა ზედ შუაზე», როგორც კრძალვითა და შიშით იტყვიან ხოლმე მოხუცებულნი. არც იმათ დაეყარათ თურმე კეთილი, რომელთაც შეიძინეს ნაწილები მთავარ მოწამისა! ამ დღიდამ მათი ოჯახები გარდაქცეულ იყვნენ ბუდეთ ყოველნაირ უბედურებათა, რის გამოც სამი-ოთხი ოჯახი თითქმის სრულიად ამოწყვეტილიყო. ბოლოს მიექციათ ყურადღება აღნიშნული გარემოებისათვის: შეეკრიბათ წმ. ნაწილები, ლოცვითა და ვედრებით ჩაესვენებინათ ისინი ვერცხლის პატარა ჯვარში და გამოეგზავნათ საქართველოსკენ. ამ დროს არბოს წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვრად ყოფილა ამ შვიდი-რვა წლის წინათ გარდაცვალებული დეკანოზი იაკ. ლომოური. ამას, შეეტყო თუ არა მოახლოვება წმ. ნაწილებისა, მოეხდინა განკარგულება, რომ რავდენისამე შემოსილის მღდვლით, დიდძალი ხალხის თანდასწრებით მიჰგებებოდა იგი ერთი ვერსის სიშორეზე. იქიდამ ლოცვითა და ღაღადებით წამოეღოთ მოხსენებული ჯვარი და დაესვენებინათ ეკკლესიაში. აქ გახსნეს თურმე ჯვარი და მწუხარებით შენიშნეს, რომ წმ. ნაწილების რიცხვს მრავალი აკლდა... რა იქმნა დანაშთენი? ამაზედ მოხუცებულებმა არა იციან რა...

*

ანდრია ჟურულის გაპარვის შემდეგ არბოს წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვრათ დაუნიშნავთ მ. გიორგი გვიმრაძე და ამისთვისვე ჩაუბარებიათ საეკკლესიო ყმისა და მამულის მოვლა-პატრონობა. აი, რასა სწერს იულონ ბატონიშვილი მოხსენებულ მღვდელს: «ბატონიშვილი იულონ გიბრძანებ გვიმრაძე მღვდელო გიორგი: არბოს ეკკლესია შენ უნდა მიიბარო; რაც ან მამული აქვს, ან შემოწირულება, ან თვითონ ეკკლესიაში ხატი, ჯვარი და ეკკლესიის ნივთია, ყველა შენ უნდა გებაროს... ყმისა და მამულის შემოსავლიდამ ათის თავი შენთვის მოგვიცია და უფროსი მღვდელიც შენ უნდა იყვე», ქ. უპვ. მკათ. კგ-სა (ბეჭედი იულონისა). ეს ბრძანება იულონ ბატონიშვილისა ინახება ეხლანდელ არბოელ მღვდელთან მ. გიორგი გვიმრაძესთან, რომელიც არის შვილის-შვილის-შვილი ბრძანებაში მოხსენებულ გვიმრაძე მღვდლისა.

* * *

ს. არბო, თებერვლის 2 (გორის მაზრა). ამ ჟამად, როგორათაც ჩვენი პატარა სოფელი, ისე მის გარშემო მდებარე საზოგადოებანი, მეტის მეტად შეწუხებულნი არიან. მიზეზი ამისა გახლავთ წლევანდელი საშინელი ზამთარი. ზაფხულში ბოროტ სენისაგან თავ-ზარდაცემულნი ღმერთს სულ ამას ვევედრებოდით: მოგვაშორეთ ეს წყეული სიცხე-პაპანაქება და მალე მოიყვანე ზამთარი თავის თოვლითა და ყინვებითაო. და აი ესეც ჩვენი ზამთარი თავის აუარებელის თოვლითა და ნამდვილ ჩრდილოეთურის ყინვებითა. მაგრამ საწყალ კაცისათვის განა როდისმე გათენებულა? ახლა ამათ წაგვიჭირეს ყელში ხელი და ლამის იმ

გვარსავე გაჭირვებაში ჩაგვაგდონ, როგორიც ვწვნიეთ ძნელად დასავიწყარ წარსულ ზაფხულს.

დადგა ახალი წელიწადი და მას აქეთია თოვლისა, ყინვისა და სუსხიან ქარაშოტისაგან მოსვენება აღარ აქვს საბრალო «ბუნების გვირგვინსა». თითქო კუდი-კუდზე აქვთ გადაბმულიო, ისე განუშორებლივ სამივე ერთად დაბრძანდებიან და ავაზაკურად დათარეშობენ ჩვენს სოფლებსა და მინდვრებში. წინაპირველად თოვლის მოსვლამ ისე გვასიამოვნა, როგორც გულუხვ მასპინძელს გაახარებს ხოლმე სასურველი სტუმრის წვევა. როცა ჩვენი სამერმისოდ დახნულ-დათესილი მინდვრები, სპეტაკ თეთრ საბანში გახვეული, დავინახეთ, ჩვენს გამჩენს მეუფეს ლოცვა-კურთხევას უხვად ვუგზავნიდით და მომავალ მოსავლიან ზაფხულს წინდაწინვე სამღვთოს გადახდას ვპირდებოდით. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე... დაგვიბერა წყეულმა ქვენა-ქარმა და მოსვენებულ-მიყუჩებული ბუნება სწორედ ზღაპრულ ჯოჯოხეთად გადაგვიქცია! წმინდა, გაკრიალებული ჰაერი დაჰბერა მიწითგან ატანილის თოვლითა და გაავსო წვეტიანის ყინულის ნამცეცებითა, რომელთაც საფანტივით გვაყრის თავსა და პირში. გადარია ყველგან გზა და კვალი და ამოავსო ნამქერით ხრამები და ხევები სახიფათოდ იმ უბედურ მგზავრთა, რომელნიც ამ ჟამად სახლ გარედ დარჩენილან. წინადაც ხომ ძალზედ ჰყინავდა, მაგარამ იანვრის თხუთმეტიდამ ყინვამ უცებ მოუმატა და ამ უკანასკნელ დღეებში ისეთ ძლიერებამდის ავიდა, რომლის მსგავსი ჩვენ მხარეს, კაი ხანია, არ უნახავს. გული გვევსება სევდითა და ნაღველით, როდესაც ჩვენს დიდ მოამაგე და დიდათ ნაამაგარ ვენახებს ვუცქერით და ცხადათა ვხედავთ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას... ვინ იცის, ამ საშინელ ზამთარს მშვიდობით გადურჩება თუ არა ჩვენი მანუგეშებელი, ჩვენი გამხარებელი, ჯავრისა და დარდის გამნელებელი ვაზი!!.

მაგრამ, როდესაც თვით ადამიანი ვარდება სახიფათო მდგომარეობაში, მაშინ ის ყველა გარეშე უბედურებათ როგორღაც გულ-გრილად უცქერის: აღარა სწუხს ისე, როგორი მწუხარეც იქნებოდა, თავისი თავიც რომ საზრუნველი არ გახდომოდა. სწორედ ესეთი საქმე გვემართება ამ ჟამად ჩვენცა! საშინელი ყინვა სულთა-მხუთა-ვივით დაგვტრიალებს თავსა და ჩვენ-კი, წკირი შეშა რა არის, ისიც კი არსად არ მოგვეპოება. ჩვენი სოფელი სულ ოცდა-ხუთ კომლ სახელმწიფო გლეხისაგან შესდგება. ჩრდილოეთით სოფელს ზედ აკრავს პატარა ბუჩქნარიანი ჭალა, რომელსაც ჩვენი წინაპარნი, ისე ეხლანდელნი მცხოვრებელნი ახლო-მახლო სოფლებისა «არბოს ჭალას» ეძახიან და რომელიც კაი შაღავათს გვაძლევდა ხოლმე ყოველს ამ გვარ გაჭირვების დროსა: თავისუფლად გამოგვქონდა იქიდამ ხმელი კუნძები, ფიჩხი, წნელი და სხვ. აღმოსავლეთით, სამიოდ ვერსის მანძილზედ, ამართულია კულბითის ვეებერთელა სახემწიფო მთა, დაფარული მშვენიერის ტყითა; ხოლო ჩრდილოეთ დასავლეთისკენ ამ გვარივე სახემწიფო ტყე უძევს ჩვენ სოფელსა, ესეც ხუთიოდ ვერსის სიშორით. ამ ნაირად ტყე და ჭალები თითქმის ყოველ მხრიდამ გვახვევია და ისიც იქვე, ცხვირ-წინ. მუდამ წამს შევცქერივართ, მაგრამ მუდამ წამსვე სიცივით ვიფიჩხებით. «არბოს ჭალა» სხვა სოფლის მემამულეებმა წაგვართვეს! არბოელი გლეხები მდიდრები არიან და ეს ჭალა მათთვის სრულიად მეტ ბარგს შეადგენსო, იფიქრეს მეზობელმა თავადებმა; ასტეხეს დავი-დარაბა, დაიჭირეს ადვოკატები, ეს მეცხრამეტე საუკუნის დამამშვენებელი სოფისტები, ყელთამდის ვალსა და სიღატაკეში ჩამხრჩვალ გლეხებს წმიდათ დააბაინეს ხელები. მას აქეთია, ვაი იმ არბოელის ტყავს,

რომელიც გაბედავს ამ ჭალაში შესვლასა! და რადგან მომეტებული ტყავი არავის არა აქვს, ამიტომ დაიკრიფეს გულ-ხელი და მოშორდნენ სახიფათო ადგილსა. რაც შეეხება მოხსენებულ სახემწიფო ტყეებს, აქაც არბოელი გლეხები ხახა-მშრალები დარჩნენ. ამ შვიდი-რვა წლის წინად თავისუფლად გამოჰქონდათ თავიაანთ სამყოფი შეშა-ფიჩხი ვანათის სახემწიფო ტყიდამ, მაგრამ გატყვრა უცებ რაღაც მოულოდნელი მიზეზი და მას აქეთია ზედაც აღარ ასუნებინეს ამ ტყესა. ამ დროიდამ შეიკრა და შეინასკვა არბოელების ბედ-იღბალიცა...

სარჩობელასთან

(წერილი გორიდამ)

ამ თებერვლის 13 გორში ჩამოარჩეს შარშანდელი ავაზაკები _ ტატე ჯიოშვილი და სანდრო ხუბულური; ამათი მესამე ამხანაგი _ ალექსა ხასიშვილი _ ამ სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნა კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით. თებერვლის 11 გორში მოვიდა ჯალათი, რომელსაც თან მოჰყვა რამდენიმე დაბალი წარმომადგენელი ტფილისის ადმინისტრაციისა. ამავე დღეს შუა ქალაქში, ხიდის ყურთან მდებარე მოედანზე, დაიწყეს გამართვა სარჩობელასი. მოედნის გარშემო მცხოვრებლებს ელდა ეცათ: თითქმის იმათ კარებ წინ უნდა მომხდარიყო საზარელი ამბავი; ამიტომ, დაფაცურდნენ და ტფილისის გუბერნატორს დეპეშით სთხოვეს, რომ ამ მოედნიდამ სადმე, ქალაქ გარედ, გადაეტანათ სარჩობელა. მათის ბრწყინვალების ნება-დართვით, იმავე დღეს ქალაქის განაპირას, საპატიმროს უკან, ლიახვისა და წმინდა წყლის გაშლილს რიყეზე გადაიტანეს სარჩობელას ბოძები.

მეორე დღეს უბედურს ავაზაკებს საპატიმროს ფანჯრებიდამ დაენახათ ეს ბოძები და მაშინვე მიხვედრილიყვნენ მათის ამართვის მიზეზსა.

_ ყველიერია და საქანელას გვიმზადებენო! _ სთქვა თურმე ხუბულურმა. ტატეს-კი ხმა არ ამოეღო; ამ წამიდამ აღარც ესვა და აღარც ეჭამა რამე. მთელი ის დღე და ღამე იდგა თურმე მუხლისთავებზე და გულმხურვალედ ლოცულობდა. გათენდა 13 თებერვლის დილაც, და, როდესაც ავაზაკებს ფანჯრიდამ ეზოში გაეხედათ, დაენახათ, რომ იქვე, კედლის ძირას, უთხრიდნენ მათ სამარესა.

_ ჩვენ ვისაცა ვხოცავდით, ერთს წამს მოვუსპობდით ხოლმე სიცოცხლესა! ესენი-კი აგერ ხუთი-ექვსი თვეა გვხოცენ და ჯერაც კიდევ აგვიანებენ დასასრულსა! _ ნაღვლიანად სთქვა თურმე ჯიოშვილმა.

დილის 12 საათი იქნებოდა, როდესაც ადგილობრივი დრუჟინა თავისის უფროსებით მივიდა სარჩობელასთან და მის გარშემო დადგა მწკრივადა. შუაში იყო დანარჩუნებული კარგა მოზრდილი ოთხი-კუთხი მოედანი, რომელზედაც სამი სარჩობელა იყო ამართული ერთმანერთის გვერდზედა. აქვე იდგნენ ჯარის უფროსები, ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, პროკურორი და რამდენიმე გარეშე წევრი აქაურის საზოგადოებისა. ჯარის უკან მთელი ვეებერთელა რიყე ხელთ ეჭირათ აუარებელ მაყურებელთ, რომელთა შორის დაინახავდით ათასნაირ ჯურის ხალხსა: ქალაქელები, სოფლელები, ვაჭრები, თავად-აზნაურობა, მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი, კაცი _ აქ ერთმანეთში იყვნენ არეულნი. ნახავდით აქ იმისთანა ქარაფშუტა დედებსაც, რომელთაც მცირე-

წლოვანი ბავშვები თან მოეყვანათ. შეხვდებოდით იმისთანა უგუნურს მამასაც, რომელიც მთელის თავისის ოჯახით აქ მობრძანებულიყო... დიდ-ძალს ხალხს შენიშნავდით აგრეთვე სახლის ბანებზე, მაღალს ხეებზე, ძველ შენობების კედლებზე. მაგრამ ყველაზე მომეტებულად თქვენს თვალს ჩვენი ბებერი, მრავალნაირ ჭირისა და ვაების მნახველი გორის სახელგანთქმული ციხე მიიტაცებდა თავისკენ. სხვა-და-სხვა ფერის ტანსაცმლით აჭრელებული ხალხი შემოსხდომოდა მისს კედლებს და ჟრიამულით გადმოსცქეროდა საზარელს მოედანს. ვინ გაზომავს, ვინ დასთვლის, თუ რამდენი უმანკო გრძნობა მოიწამლა დღეს ბოროტების გესლითა! რამდენს კაცთმოყვარე გულში ჩავარდა თესლი შეუბრალებლობისა, ავკაცობისა ამ ჩამორჩობის ცქერითა?!

შესრულდა თუ არა პირველი საათი, გამოჩნდა კიდეც ჯარის-კაცთა რაზმი, რომელიც გამოვიდა საპატიმროდამ და წამოვიდა პირდაპირ სარჩობელასკენ. აგერ, მოისმა ბორკილების ჩხაკა-ჩხუკი, აგერ, თვით ავაზაკებიც, რომელთაც გვერდზე მოსდევს საშინელი სახის წითელპერანგა ჯალათი! ხუბულური და ხასიშვილი მოდიან პირ-ღიმილით, აქეთ-იქით ცქერით ცხადადა სჩანს მათი განზრახვა: უნდათ მტკიცე ვაჟკაცებად გამოჩნდნენ საზოგადოების წინაშე!.. მაგრამ ამ ცალკე გვარს მათს მოქმედებაში გამჭრიახი თვალი ცხადად შენიშნავდა სულისა და გულის საშინელს მღელვარებას. ამის გამოისობით მათს გულადობას უფრო ურცხვობის ფერი ედო, ვიდრე ნამდვილის ვაჟკაცობისა. სრულიად სხვაგვარ მოქმედობდა ადამიანზე ჯიოშვილი. ამას სახეზე გადასდებოდა ცოტა მკრთალი ფერი... მოდიოდა ისეთნაირად, თითქო რაიმე ღრმა ფიქრებშია ჩანთქმულიო, მშვიდად, წყნარად და უშიშრად იცქირებოდა მხოლოდ თავის წინ და, ვგონებ, თავის მწარე ფიქრების მეტს ის ამ ჟამად ვერავის ვერა ჰხედავდა!..

_ ვინ იცის, რა საკირე ანთია ეხლა მაგათს გულში!.. _ ამბობს ვიღაცა...

_ როდესაც ადამიანი პატიოსნებისთვის, მაღალ აზრისთვის, სამშობლო ქვეყნისთვის კვდება, მაშინ ის გულდამშვიდებული ეგებება სიკვდილსა!.. ეგენი-კი მაშ რას იგრძნობენ გულში, თუ არ ჯოჯოხეთურს ტანჯვასა!.. _ პასუხად ამბობს მეორე.

გაოცებით გავიხედე იქით, საიდამაც მოისმა ეს სიტყვები... ხალხში იდგა მოხუცებული, სამსახურიდამ გამოსული ქართველი აფიცერი... რაზმი შევიდა შიგნით, მოედანზე, და გაჩერდა სარჩობელასთან, მღვდლისა და პროკურორის წინაშე. მაშინვე პროკურორმა იწყო დამტკიცებულის განაჩენის კითხვა. ამ განაჩენით ავაზაკებმა შეიტყეს, რომ ერთი მათგანი განთავისუფლებულიყო დარჩობისაგან. ხასიშვილს ცხადად შეეტყო სიხარული; აღგზნებული თვალები დაუმშვიდდა და, წეღანდელ ურცხვის გაბედულობის ნაცვლად, ცრემლები გადმოსცვივდა ლოყებზე. პროკურორის ბრძანებით, ის მოხსნეს თავისს ამხანაგებს, რომელთაც გამოეთხოვა მეგობრულის კოცნით და თავჩაღუნული დაბრუნდა საპატიმროში. ჯიოშვილთან და ხუბულურთან მივიდა შემოსილი მღვდელი, წაუკითხა ლოცვები და აზიარა... ამ დროს განმავლობაში ტატეს თვალები ზეცისკენ ჰქონდა მიქცეული და ჩუმად ანძრევდა ტუჩებსა. როცა მღვდელმა შეასრულა თავისი მოვალეობა, ჯიოშვილმა უთხრა: მამაო, ილოცე ჩემთვის! უფალმა იქნება მაპატიოს ჩემი შეცოდებანი. ხუბულური-კი კერპივით იდგა და მალი-მალ იძახოდა: მალე, მალე დაგვარჩეთ!.. აქ მოიყვანეს ტატეს ძმა... უკანასკნელმა ქვითინით გასწია ძმისკენ... მაგრამ პირველმა წარბი შეიკრა და გაჯავრებით დაიძახა: გამაცალეთ, მამაშორეთ!.. ამას შემდეგ ავაზაკებს გადააცვეს

თავზე გძელი სუდარა და ჯალათმა ორივენი სარჩობელას შავს კიბესთან მიიყვანა. ჯერ ტატე ავიდა კიბეზე, ტორტმანით შესდგა ფეხი მაღლა დადგმულს პატარა სკამზე და ნელ-ნელა ავიდა ზედა... მას გვერდზე ამოუდგა ჯალათიც, რომელმაც გამოყურმაშებული თოკი თავზე გადააცვა; შემდეგ ფეხ-ქვეშიდამ სკამი გამოაცალა, ხელის წაკვრით ჰაერში დააპროწიალა და მხიარულად დასძახა: აბა, ძმობილო, ერთი ლაზათიანად გაითამაშე!.. შემდეგ მაღლიდამ ისკუპა, ძირს, დედამიწაზე ჩამოხტა, ეცა დაკონწიალებულს ჯიოშვილს ფეხებში და რამდენჯერმე ღონივრად დასწია. ნეტა რას გრძნობდა ამ დროს უბედური ხუბულური, რომელიც იქვე ახლო იდგა და სუდარის ქვეშიდამ გასცქეროდა თავის ბელადის და ამხანაგის ჰაერში პროწიალსა. პატარა ხანს უკან ჰაერში დაეკიდა გაშეშებული გვამი.

ახლა რიგი მიდგა ხუბულურზე. ამან ჯალათს აღარ მოუცადა: კიბეზე მარდათ აირბინა და პატარა სკამზე-კი არ ავიდა _ ახტა. ჯალათმა თოკი გადააცვა კისერზე და ამასაც იმგვარად ჰკრა ხელი, როგორც ჯიოშვილს. ამან რამდენჯერმე გაიქნია ფეხები, ხელი იტაცა ყელთან, მაგრამ მალე გაშეშდა ესეც: ვიღამაცა ბრძანა: ცოტა მაღლა რომ აიწიოს მაგან, კარგი იქნებაო... საჩქაროზე ეცნენ თოკის წვერსა და დასწიეს... კარგა მაღლა რომ აიტანეს, უცებ თოკი გაწყდა და მომაკვდავმა საშინელი ზღართანი გაიღო ძირსა. იმავე წამს ჯალათი მივარდა, გაწყვეტილს თოკში ხელები წაავლო და მიწაზე გაათრ-გამოათრია ხუბულური, რომელიც ამ დროს ფეხებს იქნევდა. საჩქაროზე გადააცვეს მესამე სარჩობელას თოკი და ძირს დაცემული ისევ მაღლა ასწიეს. მაცქერალთა შორის ამ დროს სამარისებური სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. ყოველი მათგანი მხოლოდ ცქერად იყო გადაქცეული... მათს გაფითრებულს სახეს განივრად გაჭყეტილი თვალები რაღაც საზარელს მეტყველებას აძლევდა. საზარელი სანახავი იყო როგორც შიგნით მოედანი, ისე გარეთ _ მაყურებელნი... მაგრამ გავიდა რამდენიმე წამი, ჰაერში პროწიალი ორი გვამისა შესდგა და მასთან გაჩნდა ახლა მოძრაობა, ხმაურობა საზოგადოებაში... უკანასკნელმა ნახა ყოველივე წვლილი ამ ზარ-დაცემის ამბისა და თითქოს თვალი და გული შეაჩვია.

ამასობაში გავიდა მთელი ნახევარ-საათი, ექიმებმა და პროკურორმა გადასწყვიტეს: ახლა კი მკვდრები იქნებიანო და უბრძანეს ჯალათს მათი ჩამოხსნა. ჯალათმა გასჭრა ჯიოშვილის თოკი... ძირს დაცემულს გვამს გადახადეს სუდარა პირსახესა და გულზედა. ბევრჯელ გამიგონია, ჩამორჩობილს კაცს თვალის კაკლები და ენა გადმოვარდნილი აქვსო. ამ გვარი სრულიად ვერა ვნახე-რა, სახე ჰქონდა ჩვეულებრივის მიცვალებულისა: პირი ცოტათი გაღებული, თვალები ცოტათი გახილული... ჯალათმა გახსნა თოკი და, როდესაც კარგა დააცქერდნენ გვამსა, ყველა იქ მყოფმა შენიშნა კისრის დიდის ძარღვის ნელ-ნელი ცემა. ექიმმა დაადო ყური გულზე და სთქვა: გულიცა ჰფეთქავს კიდევაო... საქმე იმაში გახლავთ, რომ ყანყრატოსა და თოკს შუა სუდარის კარგა მოდიდო კუნჭული ჩარჩენილიყო და ამის გამო თოკი ვერ ჰქონდა მაგრა წაჭერილი. ჯალათი მივარდა, ხელ-ახლად გაუჭირა თოკი, მიადო მუხლი ტატეს კისერს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გასწია თავისკენ თოკი... ამ გვარად ეჭირა, სინამ კისრის ძარღვის და გულის ფეთქვა სრულიად არ შეჩერდა. კაცი მოკვდა, მაგრამ ექიმები მაინც ეჭვის თვალით დასცქეროდნენ მისს განიერს ვაჟკაცურს გულ-მკერდსა. ერთმა მათგანმა ამოიღო დანა, მარცხენა მკლავზე სიგრძლივ დიდი ძარღვი გაუჭრა და გამოაჩინა შავათ შეკვერებული სისხლი. მაშინ-კი იცნეს მკვდრადა და მიუბრუნდნენ ახლა ხუბულურს... ჩამოსჭრეს იგიც, გასინჯეს და ნახეს, რომ ის სრულიად მკვდარი იყო:

თოკი ამას პირდაპირ ყელში ჰქონდა მოდებული. ექიმების დასკვნით _ ხუბულური მალე და სასიამოვნო გრძნობით მომკვდარიყო, ტატე-კი _ დიდის ტანჯვის შემდეგ. ბოლოს ორივე მკვდარი დაუდეს პოვოსკაზე და წაიღეს საპატიმროს ეზოში, სადაც წინადღითვე დამზადებული იყო მათთვის სამარე.

დაიძრა ხალხი და წამოვიდა ქალაქისაკენ. მეც მოვდიოდი ნელა-ნელა და გაოცებული ჩავცქეროდი ჩემის სულის მდგომარეობას!.. როდესაც ამ ტანჯვის მოედანზე მივდიოდი, მუხლები მიკანკალებდა, გული ხან თითქმის ჩერდებოდა და ხანაც ისე დამიწყებდა ცემას, თითქო დაკლული ჩიტი ფართხალებსო. შემდეგ, როდესაც გამოჩნდნენ ავაზაკები, ცოტას გაწყდა, კინაღამ გული არ შემიწუხდა... მაგრამ, აი, გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი... დავინახე გულგრილად მომავალი ყაჩაღები, დავინახე მათი უცრემლო, უშფოთველი სიკ-ვდილი და, წარმოიდგინეთ! ისე შევეჩვიე იმ ამბის ცქერას, რომ ხალხს თავი დავანებე, ვიღაც მოხელეს გავყევი უკან და სრულიად დამშვიდებულის გულით ამოვუდექ გვერდით სარჩობელასა. ჩემ თვალწინ ჩამოსჭრეს თოკები, ჩემ თვალწინ წაარჩეს ტატე, გააშიშ-ვლეს, გასჭრეს, გასინჯეს... და იოტის ტოლა შეშფოთება და ტანჯვა აღარ უგრძვნია მის გულსა... სარჩობელა, ჩამორჩობა ამ ჟამად რაღაც სათამაშოთ მეჩვენებოდა. ტანში საშინელმა ჟრუანტელმა დამირბინა, როდესაც მთელს ამოდენა ხალხს გადავხედე და შევნიშნე იგივე მოსვენებული მდგომარეობა სულისა, როგორსაც მე თვითონა ვგრძნობდი. ნუთუ სხვებზედაც ჩემგვარი გავლენა მოახდინა სარჩობელამ?.. მწუხარებით ვეკითხებოდი ჩემს თავს... ამ დროს, თითქო პასუხათ, შემომესმა დაბალი, მხიარული ღიღინი ჩემს ახლო მომავალი ახალგაზრდა კინტუა ბიჭისა:

ჰერი, ჰერი, ჰერისკენა, კეკელჯან!
შენც ლამაზი მეც ლამაზი, კეკელჯან!..
გაღმა გავალ, გამოგიტან ბეჭედსა,
შალს გიყიდი, დაგიმშვენებ ბეჭებსა!..

* * *

გორი. «ივერიის» მკითხველებს მოეხსენებათ, რომ წარსულ თებერვლის 13-ს გორში ორი ავაზაკი ჩამოარჩეს. ამ ამბავს მთელი გორი დაესწრო. მაყურებელთა შორის, სამწუხაროდ, ბლომად იყვნენ შვიდი-რვა წლის ბავშვებიც. დღეს აი ამ ბავშვებს შორის გავრცელებულია ახალი თამაშობა, რომელსაც სახელად «ყაჩაღობას» ეძახიან. ეს თამაშობა ის არის, რომ მოიყრის ერთად თავს რამდენიმე შვიდი-რვა წლის ბავშვი, აირჩევენ თავის შორის ყაჩაღებს, დაარქმევენ მათ დამრჩვალ ავაზაკების სახელებს და გაისტუმრებენ ქუჩის უფრო მივარდნილს ადგილებში... აქედგან პატარა ავაზაკები თავიანთ ტოლ გამვლელ-გამომვლელ გოგო-ბიჭებს ეცემიან, სძარცვამენ, ხოცვენ ცემით და შემდეგ იმალებიან... გარდა ავაზაკებისა, პატარა ბავშვები ირჩევენ პოლიციელებსაც. ეს უკანასკნელნი დაეძებენ ყაჩაღებს და ბოლოს იპოვნიან კიდეც... ავაზაკებსა და პოლიციას შუა გაჩნდება ჩხუბი, რომელიც თავდება პირველების შეპყრობით. ბავშვებს მოსამართლენიცა ჰყავთ არჩეულნი. ამათ წინაშე მოჰყავთ ხელებ-გათოკილი ავაზაკები... აქ პროკურორისა და ვექილის მონაწილეობით ირჩევა ამათი მოქმედებანი... მოწმენი თავიანთის ჩვენებით ამტკიცებენ ამ მოქმედებათა სინამდვილეს და შემდეგ მოსამართლენი შეუდგებიან ბჭობას, რომელიც თავდება იმითი, რომ ავაზაკებს გადაუწყვეტენ ჩამორჩობას. ამის შემდეგ რომელსამე

გამოშვერილ ხესთან მიჰყავთ ისინი და აქ იღლიებში ამოდებულის თოკით ჩამოაკონწიალებენ ჰაერში.

ეს თამაშობა კარგა ხანს შეუმჩნევლად რჩებოდა და ამ ბოლო დრომდის არავისი ყურადღება არ მიუქცევია. ამ ორის დღის წინად-კი უცებ მთელს გორში გაისმა ხმა: ბავშვებს თამაშობის დროს ერთი თავიანთი ამხანაგი დაურჩვიათო... საუბედუროდ, ეს ხმა უსაფუძვლო არ გამოდგა. გორის ერთ ნაწილთაგანში, რომელსაც გარეთუბანს ეძახიან, ამ ორი დღის წინად ბავშვები თურმე ზემოდ აღწერილ ამბავს თამაშობდნენ... პატარა ტატე ჯიოშვილს მოსამართლეთ გადაუწყვიტეს ჩამორჩობა... საჩქაროზე გაჰმართეს სარჩობელა, მიიყვანეს ავაზაკი, რომელსაც, იღლიების ნაცვლად, გამოუყურთმაჯებული შაქრის ბაწარი ამოსდეს ყელში. თოკი წაეჭირა თუ არა, ბავშვი გალურჯდა და ფეხების ქნევას მოჰყვა. ამხანაგებს დაენახათ ეს, ეგრძნოთ, რო აქ რაღაც არა სახუმარო ამბავი ტრიალდებოდა, და თავს ზარდაცემულნი გაფანტულიყვნენ აქეთ-იქით. ბედზე სწორედ ამ დროს ვიღაც დედაკაცმა დაინახა თურმე ჩამოკიდებული ბავშვი, წიოკობით მივარდა, ჩამოხსნა, განათავისუფლა და ძლივძლივობისას მოასულიერა კიდეც. ბავშვი დღესაც ლოგინში უწევთ, ისეა თურმე დასუსტებული.

ეს შემთხვევა მეტად დამაფიქრებელი და დამაღონებელია, მაგრამ ამავე დროს თავის შინაარსით ისეთი მარტივი, ისეთი ადვილად ასაწონ-გასაზომია, რომ მკითხველს მისის განმარტებით თავს არ შევაწყენ. მკითხველმა უწყის მიზეზი ამ საგულისხმიერო გარემოებისა და ამიტომ ამ ჩემს ნალაპარაკევში იმის გონებას ვერაფერი ვერ შეაშფოთებს, ვერ გააოცებს თავისის მოულოდნელობით.